



ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

თავი 3

თავი 3. ადამიანის უფლებები და სამართალდამცავი სისტემა

თავის შესრულების პროგრესი: 67.617% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

ძირითადი მიგნებები

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მესამე თავი თითქმის მთლიანად შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გატარებულ რეფორმებს და ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით გატარებულ ღონისძიებებს. თავის მიზნები მოიცავს დროებითი მოთავსების იზოლაციაში შესახებ პირთა უფლებების, საყოფაცხოვრებო, ჰიგიენური და კვებითი პირობების გაუმჯობესებას, იძულების ღონისძიებების ადეკვატური გამოყენებისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფას, გადაცდომებზე რეაგირების სისტემის დახვეწასა და სამართალდამცავ სისტემაში ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

ერთობლიობაში დადებითად შეიძლება შეფასდეს ის ძალისხმევა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაწია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, რომლებიც სამართალდამცავ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებს აუზრუნველსებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო სავალალოა, რომ უწყების მიერ მიღწეულ პროგრესს საგრძნობლად აფერხებს საანგარიშო პერიოდში პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების სისტემური ხასიათი, მათ შორის, 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის ძალადობრივი დაშლის ფაქტი, რომელიც დღემდე სათანადოდ არ არის გამოძიებული, ასევე, 2019-2020 წლებში არაერთი მშვიდობიანი აქციის წინააღმდეგ არაპროპორციული, ხშირ შემთხვევაში, უკანონო ძალის გამოყენების პრაქტიკა, რაც მოწმობს, რომ იძულების ღონისძიებების მართლზომიერი გამოყენება და პროპორციულობის პრინციპის დაცვა კვლავ პრობლემურია და უწყების მხრიდან დამატებით ძალისხმევას საჭიროებს. პოლიტიკური ოპონენტებისა და სამოქალაქო აქტივისტების არამართლზომიერი დევნისა და შევიწროების გახშირებული ფაქტები უწყების საქმიანობის პოლიტიზირებაზე მიუთითებს.

საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლაციაში განთავსებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა - გარემონტდა იზოლაციაში შენობები, მოეწყო სამედიცინო პუნქტები. 2020 წელს გაიხსნა ახალი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დროებითი მოთავსების იზოლაცია და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულება ქ. თბილისში. მისასაღმებელია, რომ სამინისტრომ გაითვალისწინა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაცია დამატებითი საწოლების მოხსნის თაობაზე და 2020 წლის განმავლობაში, 7 იზოლაციაში განხორციელდა საკნებში ასეთი საწოლების დემონტაჟი.

ამასთან, ზოგიერთი იზოლაცია კვლავ არ აკმაყოფილებს სტანდარტებს - საპირფარეშოები არ არის იზოლირებული, ზოგიერთ იზოლაციაში არ აქვს სასეირნო ეზო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომავალში დაგეგმილია სარემონტო სამუშაოების ჩატარება ყველა იზოლაციაში, თუმცა, სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, დროებითი მოთავსების მთელ რიგ იზოლაციაში კვლავ რჩება განათებისა და ვენტილაციის, სანიტარული კვანძების, შუშ პირებზე ადაპტირების და სხვა პრობლემები. პოლიციის რიგ განყოფილებებში კვლავ პრობლემურია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობაც.

ასევე, მისასაღმებელია, რომ თითქმის ყველა დროებითი მოთავსების იზოლაციაში უზრუნველყოფილია ადგილზე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. თუმცა ამ კუთხით კვლავ რჩება გამოწვევები. ამასთან, დაგეგმილია ყველა დროებითი მოთავსების

იზოლატორის სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტება, რაც შესაბამისი პროფესიული მომზადების პირობებში დადებითად აისახება როგორც სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, ისე მის ხარისხზე. დაზიანებების დოკუმენტირების თვალსაზრისით პრობლემები კვლავ რჩება, რომელთა აღმოსაფხვრელად აუცილებელია დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა და ამ უკანასკნელთა რეგულარული ინტენსიური გადამზადება სტამბოლის პროტოკოლით გათვალისწინებულ მეთოდოლოგიაში.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კვლავ მოუგვარებელია დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა. სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის ბოლომდე ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება იგეგმებოდა - მშრალი ულუფების ნაცვლად ზოგიერთ იზოლატორში მოთავსებული პირები უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ საქვაბე კვებით. თუმცა, 2020 წლის მდგომარეობით საქვაბე კვება, მხოლოდ თბილისის ახლად განხსნილ იზოლატორშია ხელმისაწვდომი. შესაბამისად, კვლავ პრობლემად რჩება ყველა იზოლატორის, მშრალი ულუფების ნაცვლად, საქვაბე კვებით უზრუნველყოფის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების წესი, თუმცა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პატრული პოლიციელებისთვის, მოქალაქესთან ურთიერთობისას, ვიდეოჩანაწერის განხორციელება სავალდებულო არ გამხდარა. აღნიშნული ცვლილება კი მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების, ისე პოლიციელთათვის სათანადო გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში არაერთი პოლიციის განყოფილება იქნა ეკიპირებული ვიდეოკამერებით; შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. მართალია, საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა პატრულ-ინსპექტორთა მოქალაქეებთან კომუნიკაციის დროს ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, თუმცა დღემდე პრობლემად რჩება სამართალდამცავთა მიერ ასეთი კომუნიკაციისას ვიდეოგადაღების სავალდებულოობის საკითხი. ასევე, დღემდე გადაუჭრელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში ვიდეოკამერების მონტაჟის საკითხი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მოწმეს, ბრალდებულს და ა.შ., უწევთ ყოფნა.

მისასალმებელია, რომ პოლიციის აკადემიის სასწავლო კურსი მოიცავს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების, ისევე, როგორც ძალის გამოყენების მეთოდების სავალდებულო სწავლებას. ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებისა და ძალის გადამეტების პრევენციის თვალსაზრისით, ასევე სასურველია მოქმედი პოლიციელების რეგულარული და სავალდებულო გადამზადება იმავე თემატიკაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საქართველოს პროკურატურას

სახელმწიფო ინსპექტორს

- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამატების ფაქტების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- განაგრძოს ძალისხმევა ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საყოფაცხოვრებო პირობების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით;
- უზრუნველყოს დმი-ებში მოთავსებული პირებისთვის ადეკვატური და სრულფასოვანი საკვების მიწოდება;
- პოლიციის ყველა განყოფილებაში უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით სრული დაფარვა;
- უზრუნველყოს კრიმინალური პოლიციის სამხრე კამერებით აღჭურვა და ნორმატიული აქტით გაითვალისწინოს სამხრე კამერებით ვიდეოგადაღების სავალდებულო წესი;
- გააგრძელოს თანამშრომლების რეგულარული და სავალდებულო გადამზადება ადამიანის უფლებების და თანასწორობის პრინციპებსა და ძალის გამოყენების მეთოდებში.

მიზანი 3.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება

მიზნის შესრულების პროგრესი: 77.5%

ამოცანა 3.1.1. დროებით მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

ინდიკატორი: სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

შეფასება:

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა, რომლებიც დადებითად აისახა როგორც სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობაზე, ისე სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018-2020 წლის მანძილზე, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში, სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, საჩივარი არ შესულა. შს მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N1/81 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოსათავსებელი/მოთავსებული პირების სამედიცინო შემოწმების ჩატარების ინსტრუქცია“. ინსტრუქციის მიზანია, სამედიცინო პერსონალმა მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყოს სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის

ოქმის შესაბამისად, ასევე დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოვლენა.

აქტივობა 3.1.1.1. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებით

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

ჩვენს წერილობით მიმართვაზე, რა სახის ღონისძიებები გატარდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურებაზე წვდომისა და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა გვაცნობა: „2018 წლის დასაწყისში სამედიცინო პუნქტები მოქმედებდა მხოლოდ 7 რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო დანარჩენ 22 იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად ხდებოდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება. ამავე წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობის გაზრდას, სადაც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს. 2018 წლის თებერვლიდან დაიწყო ექიმების მოძიების პროცესი. (...) სამედიცინო პუნქტები 2018 წლის ოქტომბრის თვეში გაიხსნა მცხეთის, ფოთისა და საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ხოლო ნოემბრის თვეში ყვარლისა და ზესტაფონის იზოლატორებში. დეკემბრის თვეში სამედიცინო პუნქტები ასევე ამოქმედდა ახალციხის, ჩხოროწყუს და ხაშურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სამედიცინო პუნქტების მოწყობა და გახსნა გრძელდება სხვა იზოლატორებშიც. შესაბამისად დღეის მდგომარეობით დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული 29 მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს 15 იზოლატორში.“^[1]

დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების საჭირო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაზე ზრუნვა 2019-20 წლებშიც გაგრძელდა. დეპარტამენტის ინფორმაციით:

2019-2020 წლებში ახალი სამედიცინო პუნქტი გაიხსნა 9 დროებითი მოთავსების იზოლატორში. შესაბამისად, დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 30 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, სამედიცინო პუნქტი უკვე 23 იზოლატორში ფუნქციონირებს, სადაც მოსათავსებელ/მოთავსებულ პირებს სამედიცინო შემოწმება სტამბოლის

პროტოკოლის მოთხოვნების შესაბამისად უტარდებათ.[\[2\]](#) ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გრძელდება დანარჩენ 7 იზოლატორში ექიმების მოძიების პროცესი.

აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებითაც. სახალხო დამცველი, 2019 და 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშებში, აღნიშნავს, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, დაკავებულებს სამედიცინო მომსახურება დროულად მიეწოდებოდათ, გარდა ერთეული შემთხვევებისა. მისასალმებელია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პუნქტების რაოდენობა 2019 წელს - 15-დან 19-მდე, ხოლო, 2020 წელს 19-დან 23-მდე გაიზარდა.[\[3\]](#) ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) 2018 წლის ანგარიშშიც დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ამასთან, კომიტეტი მოუწოდებს მთავრობას, უზრუნველყოს ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმებითა და ექთნებით დაკომპლექტება, ვინაიდან, კომიტეტის დაკვირვებით, დაზიანებების აღწერას დმი-ებში დასაქმებული მედპერსონალი ბევრად უფრო დეტალურად ახორციელებს, ვიდრე გამოძახებული ექიმები.[\[4\]](#)

[\[1\]](#) შსს-ს 2019 წლის 9 ივლისის წერილი MIA 8 19 01790150.

[\[2\]](#) შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423, 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070.

[\[3\]](#) საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ. 89 და 2020 წლის ანგარიში, გვ. 60.

[\[4\]](#) წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 24.

აქტივობა 3.1.1.2. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პირების მიერ საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:	
• შინაგან საქმეთა სამინისტრო	
ინდიკატორი:	
სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.	
სტატუსი: სრულად შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018-2020 წლების განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ არცერთ პირს, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის არ მიუმართავს.^[1]

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „მოთავსებულ პირს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ასევე აღნიშნული შემოწმების ჩატარების მიზნით საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი.“

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლის თანახმად, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, იზოლატორის უფროსის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი.“

[1] შსს-ს 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070.

აქტივობა 3.1.1.3. სამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ივნისი-სექტემბრის პერიოდში, 3 ეტაპად, გადამზადდა დასასაქმებელი სამედიცინო პერსონალი - 46 ექიმი. უწყების ინფორმაციით, გარდა დასასაქმებელი ექიმებისა, 2018 წლის გაზაფხულზე გადამზადება გაიარა მოქმედმა სამედიცინო პერსონალმაც: ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე და ასევე იზოლატორში მოთავსებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირების მიმართულებით 2018 წლის აპრილში გადამზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი ორ ჯგუფად (25 ექიმი).

2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, გადამზადდა იზოლატორებში დასაქმებული 20 ექიმი, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დაზიანებების დოკუმენტირებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, სუიციდისა და თვითდაზიანებების პრობლემებზე, ასევე გადამდები დაავადებების პრევენციის საკითხებზე. ამავდროულად, ამავ წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ორი ტრენინგო-ტრენინგი ექიმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადებას დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით. აღნიშნული ტრენინგების შედეგად შერჩეული იქნა 9 ექიმი, რომელთა მომზადების პროცესი დასრულდა 2020 წლის თებერვალში. უკვე, 2020 წელს ორი მიმართულებით „ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში“, ჯამში, ტრენინგი გაიარა 50 სამედიცინო მუშაკმა, ხოლო „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ინტერვიუების ტექნიკების შესახებ“ ტრენინგს დაესწრო 42 ექიმი.

აქტივობა 3.1.1.4. არასამედიცინო პერსონალის განგრძობადი კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:
სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში შესული და განხილული საჩივრების რაოდენობა.

სტატუსი: სრულად შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2018 წლის მარტის თვეში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განახლდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი. 2018 წლის განმავლობაში სასწავლო კურსზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მივლენილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა ის თანამშრომელი, რომელთაც გადამზადება არ ჰქონდათ გავლილი

(ჯამში 10 ჯგუფი, 200 თანამშრომელი). იმავე დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 1 მაისის წერილით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018-2019 წლებში, თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების განახლებული სასწავლო კურსის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, მივლენილი იქნა იზოლატორების უკლებლივ ყველა თანამშრომელი.[\[1\]](#)

სამინისტროს ინფორმაციით, ამავე წელს მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულმა ყველა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება მონიტორინგის ჩატარების განახლებული მეთოდოლოგიის და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებებით. ხოლო, იზოლატორში დასაქმებული პერსონალის ერთ ჯგუფს (სულ 20 მოსამსახურე) დისტანციურ ფორმატში ჩაუტარდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი.[\[2\]](#)

[\[1\]](#) შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

[\[2\]](#) შსს-ს 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070.

ამოცანა 3.1.2. დაკავებულ/პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 55%

ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები.

შეფასება:

მისასალმებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევა დროებითი მოთავსების იზოლატორების საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, რიგ დროებით მოთავსების იზოლატორებში საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაიხსნა ახალი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი იზოლატორი თბილისში. სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ შს მინისტრის ბრძანებით რეგულირდება იზოლატორებში გამონაკლისის სახით დამატებითი საწოლების გამოყენების პრაქტიკა, სამინისტრომ გაითვალისწინა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაცია აღნიშნული საწოლების მოხსნის თაობაზე და 2020 წლის განმავლობაში, 7 იზოლატორში განხორციელდა საკნებში არსებული დამატებითი საწოლების დემონტაჟი.[\[1\]](#)

მიუხედავად ამისა, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი ინფრასტრუქტურული, საყოფაცხოვრებო თუ სანიტარული პრობლემები, რომელთა შესახებ საუბარია როგორც საქართველოს სახალხო დამცველის, ისე ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი შეფასებებში.

ნიშანდობლივია, რომ მონიტორინგის ორივე ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს დროებითი მოთავსების იზოლატორების საყოფაცხოვრებო პირობების შეუთავსებლობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

რაც შეეხება დმი-ების მიერ მიწოდებული საკვების ხარისხს, ამ მხრივ საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორც გასულ წლებში, პროგრესი არ აღინიშნება - გარდა თბილისის ახლად გახსნილი დაწესებულებისა, სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს მშრალი საკვები ულუფები მიეწოდება. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში კვების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგვარდება.

[1] შსს-ს 2021 წლის 11 მარტის MIA 1 21 00592070 წერილის დანართი.

აქტივობა 3.1.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლატორების გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა მატერიალური პირობები

პასუხისმგებელი უწყება:

- იუსტიციის სამინისტრო; წამებასთან ბრძოლის საუწყებო-საერთაშორისო საბჭო; საქართველოს მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულების სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო;

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 80%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით:

„2018 წლის გაზაფხულზე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა 3 დროებითი მოთავსების იზოლატორში (ჩხოროწყუს, წალკისა და ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორებში). ხოლო 10 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოეწყო სამედიცინო ოთახი. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ასევე მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც დამატებით გაიზარდა იზოლატორში არსებული საკნების რაოდენობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში (რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), 2018 წლის სექტემბერში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქვემო ქართლის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ.რუსთავი) მოწყობილი იქნა არასრულწლოვნებზე მორგებული საკანი და საგამოძიებო ოთახი.

ამავდროულად, 2018 წლის დეკემბერში სარემონტო სამუშაოები დაიწყო ფოთის, ქობულეთისა და სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ფოთისა და სამტრედიის იზოლატორებში სარემონტო სამუშაოები 2019 წლის თებერვალში დასრულდა. სამუშაოების ფარგლებში ასევე მოეწყო სამედიცინო ოთახები.

2018 წელს დაიწყო ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორების მშენებლობა ქ.თბილისში და ბაკურიანში, ასევე ქ.თბილისში ადმინისტრაციული პატიმრებისათვის განკუთვნილი დაწესებულების მშენებლობა.^[1]

2020 წელს მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წლის ბოლოსთვის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო ფოთის, სამტრედიისა და ქობულეთის დმი-ებში, ასევე, გარემონტდა ბაღდათის, ქიათურის, სენაკის, ლანჩხუთისა და სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორები. ამავდროულად, დასრულდა ახალი იზოლატორისა და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილი დაწესებულების მშენებლობა ქ. თბილისში, რომელიც გაიხსნა და დღეის მდგომარეობით უკვე ფუნქციონირებს.^[2]

2020 წლის იანვრის ბოლოს დასრულდა სარემონტო სამუშაოები ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ასევე მოეწყო და ამოქმედდა სამედიცინო პუნქტი. ამასთანავე, 2020 წლის ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში, ჩატარდა სხვადასხვა სახის მცირედი სარემონტო, მათ შორის, კოსმეტიკური სამუშაოები 19 იზოლატორში.^[3]

საქართველოს სახალხო დამცველი, თავის 2018 წლის ანგარიშში, მიესალმება დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს, თუმცა აღნიშნავს, რომ რიგ იზოლატორებში კვლავ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო საცხოვრებელი პირობები: “რიგი იზოლატორები არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციითა და განათებით; არადაამაკმაყოფილებელია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; იზოლატორის საკნებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც შესახლებულ პირს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა პირის/პირთა თანდასწრებით უწევს”.^[4]

ანალოგიურ პრობლემებზე საუბრობს სახალხო დამცველი 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც:

„2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ვიზიტების^[5] შედეგად დადგინდა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი^[6] და ხელოვნური ვენტილაციით^[7] და განათებით, ზოგიერთი იზოლატორი საჭიროებს კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.^[8] გარდა ამისა, 2019 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შემოწმებულ არცერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული გარემო არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. ზემოთქმულის გარდა, რიგი დროებითი მოთავსების იზოლატორებში არის ნახევრად იზოლირებული სანიტარული კვანძი, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ორ და მეტ ადგილიან საკნებში, სადაც შესახლებულ პირებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა პირის/პირების თანდასწრებით უწევთ. შეინიშნება ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებული პრობლემები.“^[9]

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში, ასევე საუბარი სხვა სანიტარულ-ჰიგიენურ პრობლემებზე დროებითი მოთავსების იზოლატორებში:

„საყურადღებოა, რომ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში არ არის ჩამრეცხი მოწყობილობა, რის ნაცვლად გამოიყენება საკნებში არსებული საკანალიზაციო ხვრელის ზემოთ რამდენიმე სანტიმეტრში არსებული წყლის მილი. სამწუხაროდ, აღნიშნულ მილს ზოგიერთი დაკავებული პირი ასევე იყენებს სასმელი წყლის ასაღებად, რაც მისი მდებარეობიდან გამომდინარე არაჰიგიენურია და დაკავებულთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.“^[10]

იმავე პრობლემებზე საუბრობს პრევენციის ეროვნული მექანიზმი 2020 წლის ანგარიშშიც - ისევე, როგორც წინა წლებში, კვლავ საუბარია დროებითი მოთავსების იზოლატორებში სათანადო ხელოვნური და ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის არარსებობაზე, შშმ პირებზე არაადაპტირებულ გარემოზე თითქმის ყველა იზოლატორში, სანიტარული კვანძების პრობლემებზე და მათ ნახევრად იზოლირებულ მოწყობაზე და სხვა.^[11]

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტიც, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია 72 საათიანი მოთავსებისთვის, საკნები გარემონტებული და სუფთაა, ადეკვატურადაა განათებული და ხდება ვენტილაცია, დაკავებულ პირებს მიეწოდებათ ლეიბი და საბანი. ამასთან, კომიტეტის შეფასებით, გარკვეული ხარვეზები კვლავ აღმოუფხვრელია: ყველა იზოლატორში არ არის უზრუნველყოფილი თითოეულ პირზე 4 კვ.მ სივრცე, საკანში არსებული ტუალეტები, როგორც წესი, მხოლოდ ნაწილობრივია იზოლირებული; სისხლის სამართლის წესით დაკავებულებს კვლავ არ აქვთ შხაპის მიღების უფლება და არც რაიმე სახის აქტივობებზე წვდომა. დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორს საერთოდ არ გააჩნია სასეირნო ეზო.^[12]

დროებითი მოთავსების იზოლატორებში თითოეულ პირზე უზრუნველყოფილ სივრცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანების „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ მოთავსებულ პირზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა იზოლატორში არ უნდა იყოს 4 კვ.მ.-ზე ნაკლები. წამების პრევენციის კომიტეტის შეფასება, საკმარისი სივრცის არარსებობის თაობაზე, ეყრდნობა საკნებში საწოლების რაოდენობის შეფარდებას საცხოვრებელ ფართთან. უწყების ინფორმაციით, 4 კვ.მ. ფართობის დაცვა მკაცრად ხდება, ხოლო საკნებში საწოლების ქარბი რაოდენობა გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დაკავებულების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი გადაყვანა სხვა უახლოეს იზოლატორში.

[1] შსს-ს 2019 წლის 09 ივლისის წერილი MIA 8 19 01790150.

[2] შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

[3] შსს-ს 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 67.

[5] კახეთის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში მდებარე იზოლატორები.

[6] მცირე ზომის ფანჯრების გამო, ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის პრობლემაა აჭარისა და გურიის რეგიონალურ, ქიათურის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ, სამტრედიის, ზესტაფონის, ბაღდათის, საგარეჯოს, კახეთის რეგიონალურ, ყვარლისა და ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში.

[7] ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია აჭარისა და გურიის რეგიონალურ და ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში.

[8] აჭარისა და გურიის რეგიონალურ, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონალურ და ასევე საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორების საკნებში კედლებზე შეიმჩნევა ნესტის და ქუჩყის კვალი, ზოგან კედლიდან ჩამოშლილია საღებავის ფენები.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 116.

[10] Ibid. გვ. 116-117.

[11] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 143.

[12] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 28.

აქტივობა 3.1.2.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვებითი პირობების უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:
 შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები;
 დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფილია საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვების და სხვა მატერიალური პირობები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია	აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%
დაწყების თარიღი: 2018-01-01	ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირისათვის მისაწოდებელი საკვების ულუფები დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 5 მაისის №457 ბრძანებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, გარდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიეწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები, ხოლო თბილისის იზოლატორში საკვების მიწოდება ხდება ადგილობრივი სასააღილოდან.

იმავე წყაროს თანახმად, „დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა იზოლატორებში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი მშრალი საკვები ულუფების ცვლილებასთან დაკავშირებით - კვების პირობების გაუმჯობესების მიზნით, მშრალი ულუფების ნაცვლად იგეგმება იზოლატორში მოთავსებული პირების საქვაბე კვებით უზრუნველყოფა. განსაზღვრულია, რომ 2019 წლის ბოლომდე, საქვაბე კვების

შემოღება, მინიმუმ ოთხ იზოლატორში უნდა მოხდეს. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იქნება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები.”[\[1\]](#)

დროებითი მოთავსების იზოლატორებში, კვებითი პირობების კუთხით 2018 წელს არსებული მდგომარეობა შენარჩუნდა 2019 წელსაც. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად „გარდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორისა, ქვეყნის მასშტაბით ყველა სხვა იზოლატორში დაკავებულებს მიწოდებათ მზა მშრალი საკვები ულუფები, ხოლო თბილისის იზოლატორში საკვების მიწოდება ხდება ადგილობრივი სასაბუღალტროდან. [უწყების ინფორმაციით] საქვაბე კვება ასევე უზრუნველყოფილი იქნება თბილისის ახალ იზოლატორსა და ადმინისტრაციული პატიმრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში.“

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ „2019 წლის ბოლომდე იგეგმებოდა საქვაბე კვების შემოღება მინიმუმ ოთხ იზოლატორში, რაც ამ ეტაპზე არ განხორციელებულა.“[\[2\]](#)

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშის თანახმად: „2019 წელს შემოწმებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული პირი უზრუნველყოფილია მხოლოდ მშრალი (საქონლის ხორცის კონსერვი, მშრალი სუპი, პაშტეტი და პური) სასურსათო ულუფით, რაც არასრულფასოვანი საკვებია. სამწუხაროდ, აღნიშნული საკვების 15 დღემდე ვადით მიღება უწევთ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირებს, რამაც შეიძლება მათ ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს. იზოლატორში განთავსებული პირებისთვის ასევე პრობლემას წარმოადგენს დიეტური საკვების არარსებობა.“ იმავე პრობლემურ საკითხებზე საუბარი პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიშშიც. გარდა საქვაბე კვებით უზრუნველყოფის პრობლემისა, ამავე ანგარიშში პრევენციის ეროვნული მექანიზმი ანგარიშში საუბარია დიეტური საკვების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე.[\[3\]](#)

[\[1\]](#) შსს-ს 2019 წლის 4 სექტემბრის წერილი MIA 1 19 02342906.

[\[2\]](#) შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

[\[3\]](#) საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 143.

მიზანი 3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა

მიზნის შესრულების პროგრესი: 56.7442%

ამოცანა 3.2.1. იძულების ღონისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 35%

ინდიკატორი: შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები; დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია; გადაამზადებული პოლიციელების მზარდი პროცენტული რაოდენობა

შეფასება:

ძალის გადამეტების პრევენციისთვის სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სამხრე ვიდეოკამერების შესაბამისი გამოყენების, ასევე, პოლიციელთა ცნობიერებისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში გარკვეული ღონისძიებები ორივე მიმართულებით განხორციელდა, თუმცა სამხრე ვიდეოკამერების გამოყენება მოქალაქესთან ურთიერთობისას კვლავ პოლიციელის ნებაზეა დამოკიდებული, რაც დასახული ამოცანის მიღწევას არ უზრუნველყოფს. რაც შეეხება გადამზადებულ პოლიციელთა რაოდენობას, იგი ამ ეტაპზე სრულად ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის შესრულებას.

2019-2020 წლებში განსაკუთრებით მწვავედ დადგა პოლიციელთა მიერ იძულების ღონისძიებების (ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები) გამოყენების პრობლემა. მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების ფონზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იძულების ღონისძიებები არაერთხელ და განსაკუთრებული ინტენსივობით გამოიყენა. პრობლემის მასშტაბსა და რეალურობაზე მიაჩნებოდა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის პასუხი ჩვენს კითხვაზე - გვაცნობეთ, რამდენჯერ და რა სახის იძულებითი ღონისძიება იქნა გამოყენებული საანგარიშო პერიოდში, რამდენი მათგანის გამოყენებაზე შემოვიდა საჩივარი და რა რეაგირება მოყვა თითოეულს. უწყებამ არ გადმოგვცა აღნიშნული მონაცემები შემდეგი მოტივით: „დაზუსტებას საჭიროებს, კონკრეტულად რა ტიპის იძულების ღონისძიებაზეა საუბარი.“^[1] სახალხო დამცველი განსაკუთრებით მწვავე პრობლემად ხედავს 2020 წლის განმავლობაში პოლიციელთა მხრიდან დაკავებულების მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს. ომბუდსმენს მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევები არასათანადო მოპყრობას უტოლდება.^[2]

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები, რომლებიც ორი წლის თავზე კვლავ არასრულყოფილად არის გამოძიებული, ასევე, სახალხო დამცველის უკანასკნელი წლების ანგარიშებში მოყვანილი ფაქტები პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევებზე, ნათლად მოწმობს, რომ იძულების ღონისძიებების გამოყენებისას პროპორციულობის პრინციპის დაუცველობა უკვე სისტემურ პრობლემად იქცა.

[1] შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 48.

აქტივობა 3.2.1.1. სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება და დანერგვა

<p>პასუხისმგებელი უწყება:</p> <ul style="list-style-type: none">• შინაგან საქმეთა სამინისტრო <p>ინდიკატორი:</p>

შიდაუწყებრივი
მონიტორინგის
პერიოდული
ანგარიშები;
დამოუკიდებელი
(სახალხო
დამცველის
ჩათვლით)
მონიტორინგის
ანგარიშების
მიხედვით
იძულებითი
ლონისძიებების
გამოყენებას აქვს
საგამონაკლისო
ხასიათი და
პროპორციულობის
პრინციპი
დაცულია;

გადამზადებული
პოლიციელების
მზარდი
პროცენტული
რაოდენობა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

2013 წლის 5 ივლისის ცვლილებით,^[1] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების მე-12 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლითაც პატრულ-პოლიციელის აღჭურვილობას დაემატა სამხრე ვიდეოკამერა. იმავე ცვლილებით, პატრულ-პოლიციელს უფლება აქვს, „საზოგადოებრივი წესრიგის, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ვიდეო-აუდიო ჩაწერა [...]“^[2]

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ „სახალხო დამცველი წლებია, რეკომენდაციით მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პოლიციელთა მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.“ ვინაიდან „პოლიციელთა სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვა და მოქალაქეებთან პოლიციის ურთიერთობისას ვიდეოჩაწერების წარმოება არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.“^[3]

2018 წლის 26 დეკემბერს შს მინისტრის N1310 ბრძანებაში შესული ცვლილებებით დამტკიცდა სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული მონაცემების შენახვისა და დამუშავების

წესი. შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით: „სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად ფორმის ტანსაცმელზე განთავსებული ვიდეოკამერის საშუალებით განხორციელებული ჩანაწერების შენახვისა და გამოყენების პროცედურების დამტკიცების თაობაზე შემუშავდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 დეკემბრის №139 ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრა, რომ პატრულ-ინსპექტორის მიერ ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები ინახება სპეციალურ სერვერზე. სპეციალურ სერვერზე ინფორმაციის განთავსება ხდება სამხრე ვიდეოკამერაზე პასუხისმგებელი პატრულ-ინსპექტორის მიერ. აღნიშნული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით. სამხრე ვიდეოკამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“

მსგავსად წინა წლებისა, 2019 წელსაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას პოლიციელთა მიერ სამხრე კამერების გამოყენების წესის შემუშავებისა და დახვეწის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ შეუსრულებია. სახალხო დამცველის 2019 წლის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის თანახმად:

„წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია პოლიციელების მიერ სამხრე კამერების გამოყენების პრაქტიკა. მოქმედი კანონმდებლობით, პატრულინსპექტორი ვალდებულია ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები სპეციალურ სერვერზე განათავსოს, სადაც ეს მონაცემები 30 დღის ვადით შეინახება. რაც შეეხება პატრულ-პოლიციელის მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეო და აუდიოჩანაწერის ვალდებულებას, იგი პატრულ-პოლიციელის დისკრეციასა და დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ პატრულ-პოლიციელების გარდა, სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, მოქალაქეებთან შემხებლობა აქვთ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებსაც. თუმცა მოქალაქეებთან ურთიერთობისას მათ ვიდეოგადაღების ვალდებულება არ გააჩნიათ. აღნიშნული პოლიციელის შეხედულებაზეა დამოკიდებული. გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები არც ამ შემთხვევაშია განსაზღვრული. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, პრაქტიკაში სამხრე კამერები თითქმის არ გამოიყენება.^[4] გამოყენების შემთხვევაშიც, იკვეთება ერთეული შემთხვევები, როდესაც სამხრე კამერებით გადაღებული პოლიციელთა მოქალაქეებთან ურთიერთობის ამსახველი მცირე მონაკვეთიანი ჩანაწერები (რომელიც ერთიანობაში არ აჩვენებს სურათს და მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა სასარგებლოდ მეტყველებს) ერთვის საქმეს, როგორც მტკიცებულება.^[5] ასევე, პოლიციელთა ინფორმაციით, დაბრკოლებას წარმოადგენს სამხრე კამერების ტექნიკური გამართულობაც.^[6] შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაუმართავი სამხრე კამერების ეტაპობრივად ჩანაცვლება ახალი გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე კამერებით.“^[7]

26 დეკემბრის ცვლილებებმა სამხრე ვიდეოკამერების გამოყენების მხოლოდ ერთი (უდავოდ მნიშვნელოვანი) ასპექტი მოაგვარა, რომელსაც ვიდეოგადაღების შედეგად მოპოვებული მონაცემების სათანადოდ შენახვა და გამოყენება წარმოადგენს, თუმცა კვლავ ღიად რჩება საკითხი, რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს პატრულ-პოლიციელმა და რა შემთხვევებში უნდა აწარმოოს ვიდეოგადაღება სამხრე ვიდეოკამერით. ამ მხრივ უმჯობესი იქნებოდა, უწყებას სრულად გაეზიარებინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და მოქალაქესთან ურთიერთობისას სავალდებულოდ განესაზღვრა ვიდეოგადაღების

წარმოება. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების, ისე პოლიციელთა არაკეთილსინდისიერი ბრალდებებისგან დაცვის საკითხებში.

არსებული კუთხით მდგომარეობა არც 2020 წელს შეცვლილა. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ პატრულ-ინსპექტორების შემთხვევაშია დადგენილი სამხრე კამერებით გადაღების ვადა. თუმცა, გადაღების ვალდებულების ნორმატიულ დონეზე გაწერა, როგორც პატრულ-ინსპექტორების, ასევე კრიმინალური პოლიციის შემთხვევაში, დღემდე ღიად რჩება. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში კი, პრაქტიკაში, სამხრე კამერები იშვიათად გამოიყენება. სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ გამოკითხული დაკავებულები აღნიშნავენ, რომ მათი დაკავებისას პატრულ-ინსპექტორებს სამხრე კამერა ჩართული არ ჰქონდათ. ადვოკატები ასევე მიუთითებენ, რომ ჩანაწერების გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც წესი, აღმოჩნდება, რომ ან კამერა არ იყო ჩართული ან ჩანაწერი შემთხვევით წაიშალა.[\[8\]](#)

[\[1\]](#) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება N509 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

[\[2\]](#) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანების “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი.

[\[3\]](#) საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ. 64.

[\[4\]](#) სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან საუბრისას 38 დაკავებულიდან, მხოლოდ 2 დაკავებულმა მიუთითა დაკავებისას სამხრე კამერის გამოყენებაზე.

[\[5\]](#) რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებთან გასაუბრების შედეგები. ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 65,4 % აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა სამხრე კამერების ჩანაწერები, როგორც მტკიცებულება, საქმეზე დიდ გავლენას მოახდენდა.

[\[6\]](#) სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ რეგიონებში ჩატარებული მონიტორინგისას, პოლიციის სამმართველოების და დეპარტამენტების თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მათ დაბალი გამძლეობისა და გაუმართავი სამხრე კამერები გადაეცათ, რაც თავადაც უქმნით დაბრკოლებებს.

[\[7\]](#) საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ. 92.

[\[8\]](#) საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 71.

აქტივობა 3.2.1.2. პოლიციელთა განგრძობადი განათლება ადამიანის უფლებებზე და იძულებითი ღონისძიებების

სტანდარტებთან და გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდაუწყებრივი მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები;
დამოუკიდებელი (სახალხო დამცველის ჩათვლით) მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას აქვს საგამონაკლისო ხასიათი და პროპორციულობის პრინციპი დაცულია;

გადამზადებული პოლიციელების მზარდი პროცენტული რაოდენობა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 20%

დაწყების თარიღი: 2021-05-27

ბოლო ვადა: 2021-05-27

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით:

„სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში - აკადემია) მუდმივად ახორციელებს შსს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით. ზემოაღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების აკრძალვა;
- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება;
- თავისუფალი მიმოსვლის უფლება;
- საკუთრების უფლება.

აკადემიაში ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის, თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოხსენებული თემატიკით მომზადდა/გადამზადდა:

1. პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 5 ჯგუფი, 63 მსმენელი, ხოლო 2019 წელს - 50 მსმენელი;
2. სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 6 ჯგუფი, 90 მსმენელი, ხოლო 2019 წელს - 88 მსმენელი
3. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 7 ჯგუფი, 123 მსმენელი;
4. უბნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 5 ჯგუფი, 65 მსმენელი, ხოლო 2019 წელს - 32 მსმენელი;
5. მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 4 ჯგუფი, 73 მსმენელი, ხოლო 2019 წელს - 30 მსმენელი;
6. დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2018 წელს 4 ჯგუფი, 75 მსმენელი;
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2019 წელს 62 მსმენელი;
8. პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2019 წელს 256 მსმენელი;
9. გამომძიებელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 2019 წელს 19 მსმენელი;
10. პატრულ-ინსპექტორის პოზიციის დასაკავებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი - 138 მსმენელი;
11. გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი - 2019 წელს 108 მსმენელი;
12. წვევამდელთა და პოლიციის უმცროს ლეიტენანტთა სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 313 მსმენელი;
13. პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელთა სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა - 2018 წელს 10 ჯგუფი, 176 მსმენელი;
14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 2018 წელს 4 ჯგუფი, 66 მსმენელი;
15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 2018 წელს 3 ჯგუფი, 55 მსმენელი;
16. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამა - 2018 წელს 4 ჯგუფი, 68 მსმენელი;
17. სსიპ დაცვის პოლიციის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი - 2018 წელს 12 ჯგუფი, 222 მსმენელი, 2019 წელს - 276 მსმენელი;
18. ადამიანის უფლებები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოზარდებში - 2018 წელს 1 ჯგუფი, 20 მსმენელი;
19. ტრენერთა ტრენინგი 112-ის ინციდენტების სამართლებრივ შეფასებაში - 2018 წელს 1 ჯგუფი, 6 მსმენელი;
20. შსს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი - 2018 წელს 1 ჯგუფი, 11 მსმენელი;
21. ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (ნახევრად ელექტრონული სწავლების მეთოდი) - 2018 წელს 12 ჯგუფი, 201 მსმენელი, 2019 წელს - 57 მსმენელი.
22. დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების

2020 წელს, სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სსიპ - შსს აკადემიაში ძალის გამოყენების მეთოდები პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში/კურსებში იფარება რამდენიმე საგნის ფარგლებში, მათ შორის თეორიული ნაწილი იფარება ადამიანის უფლებების, პოლიციის შესახებ კანონისა და საცეცხლე (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესები) და ტაქტიკური მომზადების სწავლებისას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ტაქტიკური მომზადებისა და ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთების საგნის სწავლებისას.

2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით სულ მომზადდა/გადამზადდა 2400-მდე თანამშრომელი.

მიუხედავად პოლიციის თანამშრომლების პროფესიული გადამზადების თვალსაზრისით გაწეული ძალისხმევისა, პოლიციელების მხრიდან ძალის გადამეტება და არასათანადო მოპყრობა კვლავ პრობლემად რჩება. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, „სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემები და დაკავებული პირების გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე, სხეულის დაზიანებების და ძალის გამოყენების არასრულყოფილი დოკუმენტირება, კვლავ გამოწვევად რჩება. გარდა ამისა, საყურადღებოა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული პირების მიმართ 2019 წელს ჩადენილი სავარაუდო წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეები, განსაკუთრებით, არასრულწლოვნების საქმეები.“^[1]

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების გაუარესების ტენდენცია 2020 წელსაც გრძელდება.^[2] შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული და სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშში არსებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის განმავლობაში, შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში - 1721, ხოლო გენერალური ინსპექციიდან 440 შეტყობინება გადაიგზავნა.^[3] სახელმწიფო ინსპექტორმა გამოძიება დაიწყო 270 საქმეზე. მათგან, 202 საქმეზე გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო. მცირეა სპეციალური მუხლებით გამოძიების დაწყების სტატისტიკაც.^[4] სახალხო დამცველი და სახელმწიფო ინსპექტორი მიუთითებენ, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტები ძირითადად დაკავების შემდეგ, პოლიციის ავტომობილში ხორციელდება, იქ, სადაც ვიდუოკონტროლი არ მიმდინარეობს.^[5] მწვავედ დგას პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების სათანადო გამოძიების პრობლემაც.

იძულების ღონისძიებების მართლზომიერი გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები:

2019 წლის 20 ივნისს, თბილისში, პარლამენტის წინ, დიდი საპროტესტო აქცია გაიმართა. მოქალაქეები აპროტესტებდნენ რუსეთის ფედერაციის დუმის წევრის, სერგეი გავრილოვის ვიზიტს საქართველოს პარლამენტში, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა და სხდომა რუსულად გახსნა. იმავე დღეს, გვიან ღამით, სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაარბიეს საპროტესტო აქცია.

აქციის ძალადობრივ დაშლას მნიშვნელოვნად მძიმე შედეგები მოყვა. ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისს 275 დაზარალებული ჰყავს, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის ჭანმრთელობის დაზიანება მიიღეს, მათ შორის არიან: 187 სამოქალაქო პირი, 15

ჟურნალისტი,^[6] შინაგან საქმეთა სამინისტროს 73 თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, მათ შორის, ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდა 8-ს, ხოლო ნეიროქირურგიული – 4 პირს. დადასტურებულია, რომ ტრავმის შედეგად 2-მა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა.^[7] სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს არაერთ საქმეზე, სადაც სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები იკვეთებოდა. კერძოდ, „სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონინახულეს აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი, რომელთაგან 7 პირის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აპარატმა მიმართა პროკურატურას რეაგირების მიზნით.“^[8]

ზემოთ აღნიშნული შედეგების მიუხედავად, დღემდე გამოძიება მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს. სახალხო დამცველი 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში აცხადებს, რომ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, მრავალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიუხედავად, კვლავ შორსაა საქმეზე სრული სურათის შექმნისაგან. 3 ეპიზოდის ცალკე გამოყოფის, 3 პირის ბრალდებულად ცნობისა და 8 პირის დაზარალებულად ცნობის მიუხედავად, ამ ეტაპზე გამოძიება კვლავ პოლიციის რიგით თანამშრომლებზე ფოკუსირდება და არ არის მიმართული პოლიციის ხელმძღვანელთა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისაკენ.^[9] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2020 წლის 20 ივნისის განცხადებაში კი ნათქვამია, რომ „დღემდე, აქციაზე დაშავებულ მედიის წარმომადგენლებს არ მინიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი და საქმე დღემდე გამოუძიებელია. ამის გამო, სამმა ჟურნალისტმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა, რომელთა საქმეები უკვე წარმოებაშია მიღებული.“^[10]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, გვ. 86.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 59.

[3] შსს-ს 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070; სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის ანგარიში, გვ. 127-129.

[4] სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის ანგარიში, გვ. 142.

[5] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 72.

[6] 2019 წლის 21 ივნისის ჟურნალისტების მიმართვაში საქართველოს მთავრობას, შს მინისტრს და დიპლომატიურ კორპუსს 39 დაშავებული ჟურნალისტია მითითებული, ხელმისაწვდომია <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/73244>.

[7] <https://www.amerikiskhma.com/a/mako-gomuri-and-others-case/5189883.html>.

[8] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში“, 2020, გვ.3.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში“, 2020, გვ.39.

[10] <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/83176>.

ამოცანა 3.2.2. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

ინდიკატორი: პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა

შეფასება:

დღევანდელი მდგომარეობით, პოლიციის ყველა შენობაზე დამონტაჟებულია სათვალთვალო ვიდეოკამერები, თუმცა ამ დრომდე არ განსაზღვრულა მათი ფუნქციონირების წესი.

აქტივობა 3.2.2.1. პოლიციის ყველა სამმართველოს შენობაში სათვალთვალო კამერების დამონტაჟება და ფუნქციონირების წესის განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

პოლიციის სამმართველოების რაოდენობა, სადაც დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები/ დამონტაჟებული კამერების რაოდენობა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

შეფასება

შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

„2018 წელს განხორციელდა ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტებისა და მათი სტრუქტურული დანაყოფების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლება, ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალში დასრულდა სხვა დარჩენილი პოლიციის დეპარტამენტებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლება და სტანდარტიზაცია.“

2019 წლის მდგომარეობით „ვიდეო-სათვალთვალო კამერები დამონტაჟებულია თბილისის, აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის

პოლიციის დეპარტამენტების ადმინისტრაციულ შენობებზე.”^[1]

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა - სათვალთვალო კამერების ფუნქციონირების წესის განსაზღვრა - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

2018 წელს „სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილების ინიცირებით მომზადდა სამინისტრო ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადის განსაზღვრის შესახებ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი.” ხოლო, 2019 წლის 25 აპრილს, გამოიცა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N1/198 ბრძანება, რომლითაც სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით, განისაზღვრა 14 დღე.“

საქართველოს სახალხო დამცველი, 2019 წლის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში, მიესალმება მისი რეკომენდაციის შესრულებას - პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში არსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 14 დღის განსაზღვრას.

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, სახალხო დამცველი 2019 წელსაც პრობლემად მიიჩნევს სათვალთვალო კამერების არარსებობას პოლიციის დეპარტამენტების იმ ადგილებში სადაც დაკავებულს, მოწმეს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა. ომბუდსმენი შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისევე, როგორც წინა წლებში, ამ პრობლემის აღმოფხვრისკენ მოუწოდებს.

იმავე პრობლემაზე საუბრობს სახალხო დამცველი 2020 წლის ანგარიშშიც და მიუთითებს, რომ „2020 წელს პოლიციის რიგ დაწესებულებებში კვლავ პრობლემა იყო შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. ამასთანავე, კვლავ გრძელდებოდა დაკავებულთან ან დაწესებულებაში სხვა სტატუსით მყოფ პირთან გასაუბრებისთვის პოლიციის დაწესებულებების უფროსების და მათი მოადგილეების სამუშაო კაბინეტების აქტიური გამოყენება, სადაც არ მიმდინარეობს აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკებს.“^[2]

^[1] შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

^[2] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 72.

ამოცანა 3.2.3. სამართალდამცავ ორგანოებში გადაცდომებზე

ეფექტიანი რეაგირება და აღმოფხვრა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 65%

ინდიკატორი: სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება

შეფასება:

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული 2018 წლის სტატისტიკა, რომელიც უწყების გენინსპექციის მიერ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებებს ასახავს, საკმაოდ შთამბეჭდავია. ამასთან, დისციპლინური წარმოებების ნახევარზე მეტი თავად გენინსპექციის ინიციატივით იქნა დაწყებული. იმავე პერიოდში რეფორმირდა სამინისტროს გენინსპექციის სტრუქტურაც. აქვე აღსანიშნავია 2019-2020 წლებში პროაქტიული ინსპექტირებების შედეგად დაკისრებული დისციპლინური სახდელების რიცხვის მკვეთრი შემცირება - 1714 დისციპლინური სახდელი 2018 წელს, მხოლოდ 18 დისციპლინური სახდელი 2019 და მხოლოდ 27 - 2020 წელს, რაც, სავარაუდოდ, შიდა ინსპექტირებების რაოდენობის სიმცირეს ან ხარისხის ვარდნას უნდა უკავშირდებოდეს.

აქტივობა 3.2.3.1. სამართალდამცავების მიერ ჩადენილი გადაცდომების პროაქტიული გამოვლენა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი:** 60%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-01-12

შეფასება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივით:

„2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო 13842 დისციპლინური წარმოება, მათგან 7852 სამართალწარმოების საფუძველს წარმოადგენდა მოქალაქეთა საჩივარი - განცხადება.

2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული დისციპლინური წარმოების საფუძველზე დაკისრებული იქნა 1550 დისციპლინური სახდელი, კერძოდ:

სამსახურიდან დათხოვნა - 151

თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 8

სასტიკი საყვედური - 384

საყვედური - 342

შენიშვნა - 665

382 შემთხვევაში გაიცა სარეკომენდაციო ბარათი.”^[1]

იმავ უწყების ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შევიდა 6068 საჩივარი/განცხადება, აქედან:

- 3946 შემთხვევაში - ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა;
- 109 შემთხვევაში - საჩივარი/განცხადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.
- 1070 შემთხვევაში - მოქალაქე არ აცხადებდა პრეტენზიას და მას გაეწია მოთხოვნილი კონსულტაცია. სულ აღნიშნულ პერიოდში (საჩივარ/განცხადებების, სამინისტროს დანაყოფებიდან მიღებული და მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად) დაკისრებული იქნა 1447 დისციპლინური სახდელი.

შეტყობინებების ნაწილი გადაგზავნილი იქნა ქვემდებარეობით.

რაც შეეხება გადაცდომებზე პროაქტიულ რეაგირებას, „გენერალური ინსპექციის მიერ 2018 წელს განხორციელდა სამინისტროს დანაყოფების გეგმიური და პრევენციული ინსპექტირებები. ასევე, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად 2018 წელს დაკისრებული იქნა 1714 დისციპლინური და სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული სახდელი. ხოლო 374 შემთხვევაში, შედარებით უფრო მსუბუქი გადაცდომის გამო, გაიცა სარეკომენდაციო ბარათი.”^[2] ხოლო 2019 წელს, სამინისტროს დანაყოფების მიერ ფინანსური დარღვევების, დისციპლინური და სხვა გადაცდომების პროაქტიულად გამოსავლენად ჩატარებული ინსპექტირების შედეგად უწყებამ შესაბამის პირებს დააკისრა 18 სახდელი და გასცა 31 სარეკომენდაციო ბარათი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2020 წლის მონაცემებთან დაკავშირებით უფრო ზოგადია, ვიდრე წინა წლებში. ამ პერიოდში დაიწყო 10133 სამსახურებრივი შემოწმება. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა 6824 შემთხვევაში. 1672 შეტყობინება გადაგზავნილი იქნა ქვემდებარეობით (პროკურატურა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, შსს-ს შესაბამისი დანაყოფი). შემოწმებების შედეგად დაიწერა 1637 დასკვნა. შსს მოსამსახურეთა მიმართ 1092 შემთხვევაში გამოყენებული იქნა დისციპლინური სახდელი, ხოლო 284 შემთხვევაში - სარეკომენდაციო ბარათი. ამავე პერიოდში, დისციპლინური და სხვა გადაცდომების პროაქტიულად გამოვლენის მიზნით ჩატარებული ინსპექტირებების შედეგად დაკისრებული იქნა 27 სახდელი.

^[1] შსს-ს 2019 წლის 4 სექტემბრის წერილი MIA 1 19 02342906.

^[2] შსს-ს 2020 წლის 01 მაისის წერილი MIA 6 20 00965423.

აქტივობა 3.2.3.2. სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

სამართალდამცავების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე შესულ განცხადებათა და რეაგირების ურთიერთმიმართება

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2019-12-31

შეფასება

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ცნობით:

„2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში, გენერალურ ინსპექციაშიც გატარდა რეფორმა. გენერალურ ინსპექციაში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად:

- შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები, ნათლად გაიმიჯნა სამმართველოებს შორის კომპეტენცია. შეიქმნა სამმართველო რომელიც განიხილავს მოქალაქეთა საჩივარ/განცხადებებს და ატარებს სამსახურებრივ შემოწმებებს სამინისტროს ყველა დანაყოფის დისციპლინური დარღვევის ფაქტებზე. ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ დავალებათა, ობიექტების დაცვის, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტებისა და სხვა სპეციალური ქვედანაყოფების შემოწმების სამმართველო. აღნიშნული სამმართველო ახორციელებს შს სამინისტროს გასამხედროებული ტიპის დანაყოფების ინსპექტირებებს, სამართლებრივი ჩარჩოს და გეგმების ანალიზს, მზადყოფნის, მომზადების დონის და დისციპლინის მონიტორინგს. შეიქმნა დამატებითი დანაყოფი დასავლეთ საქართველოში. ცვლილებების შედეგად, უფრო ეფექტური და მოქნილი გახდა გენერალური ინსპექციის მუშაობა და გადაცდომებზე რეაგირება.

ასევე გატარდა ღონისძიებები გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესასწავლად.

- 2018 წლის 19-22 ივნისს ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა გენერალური ინსპექციის სასწავლო ვიზიტი ლიტვის რესპუბლიკაში. ვიზიტის ფარგლებში გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები შეხვდნენ ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექტორს, ასევე, ეროვნული პოლიციის, სასაზღვრო პოლიციისა და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დანაყოფის მონიტორინგის სამსახურების („Immunity Board“) ხელმძღვანელებს. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს პოლიციის საქმიანობაზე ზედამხედველობის არსებული პრაქტიკა, დისციპლინური წარმოების პროცედურები, არსებული გამოწვევები, სამართლებრივი ჩარჩო და მომავალი ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები.

განხილულ იქნა ასევე საზოგადოების ნდობის მნიშვნელობა პოლიციის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების წარმატებული საქმიანობისთვის და სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობის ლიტერული პრაქტიკა.

- 2018 წლის 24 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი საერთაშორისო ორგანიზაცია - „შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის შენევის ცენტრის“ ექსპერტების მიერ. ღონისძიება განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის „თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საბჭოს“ მხარდაჭერით. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს - პოლიციის საქმიანობაზე ზედამხედველობის პრინციპები, პოლიციის საქმიანობის მონიტორინგის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება. განხილული იქნა ასევე არსებული რეალობა და გამოწვევები.”

უწყების ინფორმაციით, 2019 წელს გენერალურ ინსპექციაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს დისციპლინური წარმოების პროცედურების საუკეთესო პრაქტიკის მოძიებასა და დანერგვაზე. ამავე წლის თებერვალში ჩატარდა გასავლეთი სამუშაო შეხვედრა უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. შეხვედრაზე განხილული იქნა დისციპლინური წარმოების პროცედურების პრაქტიკა ევროპული ქვეყნების მაგალითზე.

2020 წელს დამატებითი ღონისძიებები არ განხორციელებულა. სამინისტრო ამ გარემოებას პანდემიით ხსნის.[\[1\]](#)

[\[1\]](#) შსს-ს 2021 წლის 11 მარტის წერილი MIA 1 21 00592070.

ამოცანა 3.2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის გაძლიერება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100%

ინდიკატორი: ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

შეფასება:

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შსს-მ მოახერხა ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის სახით. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დეპარტამენტის მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა და ამჟამად მთელი რიგი დანაშაულების გამოძიების ხარისხის მონიტორინგს მოიცავს.

აქტივობა 3.2.4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინდიკატორი:

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ინსტიტუციური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს ახორციელებს. დეპარტამენტი ასევე, უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მიმართულებით ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, ასევე მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

2019 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატი გაფართოვდა და იგი უკვე მოიცავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სხვა დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგს მთელი საქართველოს მასშტაბით.[\[1\]](#)

[\[1\]](#) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 04 თებერვლის ბრძანება N11.